

Vakhtang Kobaladze

From: თამარ ჩაჩანიძე <tamar.chachanidze@nfa.gov.ge>
Sent: Monday, May 13, 2019 10:40 AM
To: Vakhtang Kobaladze; info
Cc: თეა შველიძე; 'Tamar Gobejishvili'
Subject: RE: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

ვახტანგ, გამარჯობა,

თქვენი შეკითხვის - **ლაბორატორიულად შემოწმებული სურსათის სიაც რატომ არ გამოაქვეყნეთ?** პასუხად კიდევ ერთხელ განგიმარტავთ (იხილეთ ქვედა წერილი), რომ სურსათის ნიმუშების, ასევე პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, ვეტერინარული პრეპარატების კვლევა დაიწყო მე-2 კვარტალში და, შესაბამისად, პირველი კვარტლის შედეგებში ლაბორატორიულად შემოწმებული სურსათის სია ვერ მოხვდებოდა.

რაც შეეხება საჩივრებს,

შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“ დაჯარიმებული იყო ეტიკეტირების წესის დარღვევის გამო, ვინაიდან სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ ჩატარებული თვისობრივი კვლევის შედეგებით, მათ მიერ წარმოებული ყველის ნიმუშში აღმოჩნდა მცენარეული ცხიმი. ადმინისტრაციული წარმოებისას სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ რაოდენობრივად იქნა გადათვლილი ნიმუშში გაზომილი არარძისმიერი ცხიმის შემცველობა. სააგენტოს გადაწყვეტილებით, შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტების“ ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა და გაუქმდა საჯარიმო ქვითარი;

ინდემწარმე „დიმიტრი ვაშალომიძე“- დაჯარიმებული იყო ბაზარზე ხორცის ვეტერინარული ზედამხედველობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე განთავსებისა და ეტიკეტირების წესის დარღვევის გამო. სააგენტოს გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საჯარიმო ქვითარი ძალაში დარჩა ეტიკეტირების წესის დარღვევის ნაწილში;

შპს „ლოკალინო“- დაჯარიმებული იყო ეტიკეტირების წესის დარღვევისა და არაკრიტიკული შეუსაბამობების დაფიქსირების გამო. სააგენტოს გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული საჩივარი დაკმაყოფილდა. ნაწილობრივ და საჯარიმო ქვითარი ძალაში დარჩა არაკრიტიკული შეუსაბამობების ნაწილში.

From: Vakhtang Kobaladze <vakhtang@csrdg.ge>
Sent: Friday, May 3, 2019 13:01
To: თამარ ჩაჩანიძე <tamar.chachanidze@nfa.gov.ge>; info <info@nfa.gov.ge>
Cc: თეა შველიძე <tea.shvelidze@nfa.gov.ge>; 'Tamar Gobejishvili' <tamar@csrdg.ge>
Subject: RE: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

გამარჯობა თამუნა,

ქვემოთა კითხვებზე ველით თქვენს პასუხს.

პატივისცემით,

ვახტანგი